# გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №13(315) 2024 წ. 1-15 ივლისი ფასი 1 ლარი

## ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო

## წარმატებები!



**ქვეყანაში** ერთიანი ეროვნული გამოცდები ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით დავიწყეთ.

პირველ რიგში, წარმატებებს ვუსურვებ თითოეულ გამოსაცდელს და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მთელ გუნდს.

მნიშვნელოვანია, რომ მთელი წელი აქტიურად ვემზადებოდით ამ დღისთვის. წელს საქართველოს მასშტაბით 12 ქალაქში 24 საგამოცდო ცენტრია გახსნილი, რომელიც 47 000-ზე მეტ აბიტურიენტს მიიღებს.

საგამოცდო ცენტრები სრულ მზადყოფნაშია გამოსაცდელების მისაღებად - ყველა სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, გამართულია გაგრილების სისტემა და ცენტრებში უზრუნველყოფილია მშვიდი და უსაფრთხო გარემო, სადაც თითოეულ აპლიკანტს აქვს თავისი ცოდნისა და უნარების გამოვლენის მაქსიმალური შესაძლებლობა.

განსაკუთრებით ემოციური დღეა აბიტურიენტებისა და მშობლებისთვის. მინდა, ვურჩიო მათ, რომ არ ინერვიულონ, რადგან ჩვენ ყველანი ვზრუნავთ ახალგაზრდებისთვის შესაბამისი გარემოსა და პირობების შექმნაზე.

კიდევ ერთხელ, წარმატებებს ვუსურვებ ჩვენს მომავალ თაობას ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე, თითოეულ აბიტურიენტს სასურველ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას ვუსურვებ.

*გიორგი ამილახვარი,*
***საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი***

**მინდა** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ყველა აბიტურიენტს ვუსურვო წარმატება და წინსვლა ცხოვრების ამ მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო ეტაპზე.

მე იმედი მაქვს, როგორც ყოველთვის-საგარეჯო ერთ-ერთი მოწინავე მუნიციპალიტეტი იქნება წარჩინებული მოსწავლეების საუკეთესო შედეგებით.

კიდევ ერთხელ გისურვებთ წარმატებას, მიგულეთ თქვენს სამსახურში, როგორც ერთი რიგითი თანამოქალაქე და დიდი გულშემატკივარი!

***პატივისცემით,***
*ავთანდილ გულიკაშვილი,*
***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი***



## 2 ივლისი საქართველოს ისტორიაში, ერთდროულად - გლოვისა და სიამაყის დღეა!



**2 ივლისს**, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა*** სოფელ ბადიაურში, გმირთა მემორიალი თაიგულებით შეამკეს და 1993 წელს ტამიშთან ბრძოლაში დაღუპული მეომრების -კახაბერ გიქორაშვილისა და მამუკა ხატისაშვილის ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა - **ავთანდილ გულიკაშვილმა** კახაბერ გიქორაშვილის დედას - ქალბატონ ზინა გიქორაშვილს შვილის სამშობლოს სამსახურისა და თავგანწირვისთვის მადლობა გადაუხადა, ჯანმრთელობა და მხნეობა უსურვა.




## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა, ავთანდილ გულიკაშვილმა საჯარო სკოლების დირექტორებთან შეხვედრა გამართა



**ავთანდილ** გულიკაშვილმა საჯარო სკოლების დირექტორებთან სამუშაო შეხვედრა გამართა და რეფორმის ფარგლებში გათვალისწინებული ზოგადი განათლების განვითარების ხედვაზე, ახალგაზრდების წამახალისებელ სამომავლო გეგმებსა და ახალ ინიციატივებზე ისაუბრა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო უახლოეს კვირებში განსახორციელებელ ღონისძიებებს, რომლებიც მოსწავლეებისთვის და აბიტურიენტებისთვის გაიმართება. ასევე დაბა ბაკურიანში დაგეგმილ საზაფხულო ბანაკს, "გახდი თვითმმართველი და განავითარე შენი თემი", რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით იწყება.

„განათლება და განათლებული მომავალი თაობა ჩვენთვის პრიორიტეტია. თქვენი როლი კი ამ საქმეში უდავოდ დიდია. თქვენ ხართ ადამიანები, რომელთა აზრი და რჩევები საყურადღებო და მნიშვნელოვანია." - განაცხადა **ავთანდილ გულიკაშვილმა** საუბრისას.

სკოლის დირექტორებმა მადლობა გადაუხადეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს მნიშვნელოვან საკითხებში ოპერატიული ჩართულობისა და თანადგომისათვის.

მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით, სტუმრებს სამაგიდო წიგნი - ექსკლუზიური გამოცემა „გარეჯელები" გადაეცათ საჩუქრად.



## მათ „საპატიო გარეჯელის“ წოდება მიენიჭათ

# მოსახლეობის საყოველთაო სიყვარულით...

### მაია ანუაშვილი

**16 ივნისს**, გარეჯობის დღესასწაულზე საპატიო გარეჯელის წოდება მიენიჭა დამსახურებულ და ყველასთვის საყვარელ ***ექიმ-კარდიოლოგს, ქალბატონ მაია ანუაშვილს.*** იყო ექიმი ,არ ნიშნავს ცალმხრივად არც აკადემიურ ცოდნას,არც გამოცდილებას და არც შესაძლებლობას დღე და ღამე, ემოციურად თუ ფიზიკურად იყო პაციენტის გვერდით და ხელი მის მაჯაზე გედოს.სახარება გვეუბნება,რომ ჭეშმარიტ მკურნალად დაბადებაში ღმერთის ხელი ურევია და ეს მათ ეგების, ვისაც ადამიანთა ჭეშმარიტი სიყვარულის ნიჭი თვით უფალმა დაანათლა. ამ მადლით მოსილნი კი ცოტანი არიან. ამის მაგალითი კი თქვენ ხართ მეგობარო,ანუ როგორც უამრავი პაციენტი მოგმართავს ,,ჩვენო მაია ექიმო,,...დღეს არამარტო თქვენ ხართ ამაყი,არამედ ამაყია მთლად გარეჯის მოსახლეობა, რომ მიეცა შესაძლებლობა შენდამი დიდი პატივისცემა და საყოველთაო სიყვარული ასე ერთსულოვნად გამოხატოს..გისურვებ კიდევ დიდხანს გვამხნევებდეს შენი გულწრფელი ღიმილი,კიდევ მრავალი წელი ალამაზებდე სამყაროს შენს დიდ ოჯახთან ერთად.

***მადლობა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიას და პირადად ბატონ ავთო გულიკაშვილს ღირსეული ადამიანების ღირსეულად დაფასებისთვის.***

*ლეილა ოტიაშვილი,*

***შპს „საგარეჯოს ჯეო-ჰოსპიტალსის“ თერაპიული მიმართულების ხელმძღვანელი***



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტში არ მეგულება ადამიანი, რომელიც იცნობდეს და არ უყვარდეს, დიდ პატივს არ სცემდეს თავისი საქმის მაღალი რანგის პროფესიონალს, ***კარდიოლოგ მაია ანუაშვილს.***

ძნელად წარმოსადგენია საკუთარი საქმისთვის, პაციენტების ჯანმრთელობის ისეთი თავდადებული პიროვნება, როგორიც ქალბატონი მაიაა.

ზუსტად არავინ იცის რაოდენობა იმ ადამიანებისა, რომელთა სიცოცხლე ბეწვზე აქვს გადარჩენილი....

ბრწყინვალე, გულისხმიერი, უაღრესად თბილი და მოსიყვარულე დედა, მეუღლე, ბებია, კოლეგა, მეგობარი...

ნამდვილად იმსახურებდა საპატიო გარეჯელის წოდებას და გულითადად ვულოცავ მის მინიჭებას.

ვუსურვებ ახლობელი ადამიანების კარგად ყოფნას და დიდ წარმატებებს ხალხის საკეთილდღეოდ!

*სანდრო უსტიაშვილი,*

***ჟურნალისტი***

## საპატიო გარეჯელია – როცა სამშობლო ზღვა ღვაწლს გიფასებს...

### გელა (გიორგი) უნაფქოშვილი



***ეს მოკრძალებული წერილი მანამდე არ დავწერე, სანამ უშუალოდ არ შევხვდი და არ გავესაუბრე ჩვენი დროის ცოცხალ ლეგენდას, შორეული ზღვაოსნობის კაპიტანს, ღირსების ორდენის ორგზის კავალერს, საერთაშორისო რანგის საზღვაო ექსპერტს, პიროვნებას, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული და საერთაშორისო ზღვაოსნობის განვითარებაში,*** **გელა უნაფქოშვილს.**

***— როგორი განცდაა, როდესაც საგარეჯოს რაიონში დაბადებულ კაცს უმაღლეს შეფასებას, საპატიო გარეჯელის წოდებას განიჭებენ? - ვკითხე ადამიანს, რომლისთვისაც ზღვა მხოლოდ “სამსახურეობრივი ადგილი” კი არა, არამედ სულიერი სტიქიაა.***

— როგორც ჩანს, სურდათ ჩემთვის მოულოდნელი საჩუქარი გაეკეთებინათ: 15 ივნისს დამირეკეს და მთხოვეს, აუცილებლად დავსწრებოდი მეორე დღეს დაგეგმილ გარეჯობის სახალხო დღესასწაულს. იქ მისვლამდე დავით გარეჯა მოვილოცე და უფალს ჩემი ქვეყნის მფარველობა შევთხოვე - დაილოცოს ამ წმინდა ადგილის ძალა და მადლი. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ საპატიო გარეჯელის წოდების მონიჭებას აპირებდნენ... მეზღვაურებს, როგორც ცნობილია, რკინის ნერვები გვაქვს, მაგრამ ასეთი აღელვებული და ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ, -- ***მეუბნება გელა უნაფქოშვილი და თავისივე სახლში მოწყობილი საზღვაო მუზეუმის ახალ ექსპონატს, ულამაზეს შტურვალს მიჩვენებს. თან იმ სტენდთან მივყავარ, რომელზეც ერთ პატარა, უწყლო სოფელ პატარძეულში დაბადებული 9 მეზღვაურის ფოტოებია წარმოდგენილი. მათი ჩამონათვალი პატარძეულელი ზღვის ლომის, კონტრადმირალ მიხეილ ჭინჭარაძის ფოტოთი იწყება...***





***მსოფლიოს მასშტაბითაც კი უნიკალურია ეს მუზეუმი. მისი ექსპონატების რაოდენობა ისევე უსასრულოა, როგორც ჩვენი ხალხის სიყვარული და პატივისცემა ყველა დროის საუკეთესო კაპიტნის მიმართ. მას ხომ ნახევარ საუკუნეზე მეტი აქვს გატარებული თვალშეუდგამ ზღვებსა და ოკეანეებში...***

***პატარძეულისა და საკუთარი ოჯახის უზომოდ მოყვარულ ქართველ კაცს ისევ ზღვისკენ უჭირავს თვალი და წყლის სტიქიონის ხსენებაზე მის გამოხედვაში ცეცხლი ინთება.***

- მინდა, ამ უაღრესად საპატიო წოდების მონიჭებისთვის ***დიდი მადლობა გადავუხადო*** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს, მოკლე დროში უამრავი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელების მოთავეს, ბატონ **ავთანდილ გულიკაშვილს.**

რა დამავიწყებს იმ სიხარულს, როდესაც დაბადების დღეს სახლში მესტუმრა და მადლობის სიგელი გადმომცა. დამეთანხმებით, ნებისმიერი ჯილდო და წოდება საამაყოა, მაგრამ შენი მიწა-წყლის ხალხის მიერ მონიჭებული ათჯერ უფრო მნიშვნელოვანი და სასიხარულოა,- ***ამბობს ეს საოცრად თავმდაბალი ადამიანი, რომლის პროფესიონალიზმის, ადამიანის გონებისთვის წარმოუდგენელი სიმამაცის და სხვათა თანადგომის მაგალითებზე ათასობით მეზღვაურია აღზრდილი ათწლეულების განმავლობაში.***

***გელა უნაფქოშვილს დღესაც ახსოვს, ახლად სკოლის კურსდამთავრებულს როგორ აცილებდა მთელი საგარეჯოს რაიონი ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებლისკენ და როგორ დაულოცეს გზა ურთულესი პროფესიის დაუფლებისკენ.***

- ვინ იცის, რამდენჯერ გადავრჩენილვარ უდიდეს განსაცდელს და გარდაუვალ სიკვდილს. ყველგან და ყოველთვის უფლის მფარველობა და ჩემი ხალხის სიყვარული მაძლებინებდა...

სანამ ცოცხალი ვარ, ვდგავარ ჩვენი ქვეყნის სამსახურში...

***ჩვენი სოფლის და ჩვენი ერის საამაყო შვილს დიდი პატივისცემით ვულოცავ საპატიო წოდების მინიჭებას. ვუსურვებ ჯანმრთელობას, დასახული მიზნების მიღწევას და ახალ წარმატებებს.***

*სანდრო უსტიაშვილი*

## „საპატიო გარეჯელობა“ — ერთ-ერთი დიდი ჯილდო

### სოლომონ პავლიაშვილი



**გარემოს** დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს **სოლომონ პავლიაშვილს,** მესტიის საპატიო მოქალაქეობასთან ერთად გარეჯობის სახალხო დღესასწაულზე,განსაკუთრებული ღვაწლისთვის, საპატიო გარეჯელის წოდება მიენიჭა.

სოლომონ პავლიაშვილი სოფელ კაკაბეთში დაიბადა და გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ყოველთვის მაღალ თანამდებობზე უხდება მოღვაწეობა, არასოდეს რჩება ყურადღების მიღმა მშობლიური კაკაბეთი და საერთოდ, საგარეჯოს რაიონი. ამიტომ იყო, რომ საგარეჯოს რაიონის მოსახლეობამ მას ნდობა გამოუცხადა და 1999-2001 წლებში, სოლომონ პავლიაშვილი ***საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი იყო.*** ეს ის წლებია,როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა ადამიანებს გვერდში დგომა,გაჭირვებულ ოჯახებს დახმარება,აუცილებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოზიდვა. ***იგი***





***არის პაატა გუგუშვილის პრემიის მფლობელი.*** სახელმწიფო პროგრამების შედგენასა და რეკომენდაციების შემუშავებაში ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისთვის მიღებული აქვს პრეზიდენტის მადლობა. ასევე, იყო პრეზიდენტის პირველი ხარისხის სტიპენდიანტი.

სოლომონ პავლიაშვილის ბიოგრაფია მრავალფეროვანია. ბატონი სოლომონი სხვადასხვა დროს იყო:

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე, სოციალური დაზღვევის ინსპექციის უფროსი; საქართველოს ქონების მართვის მინისტრი; საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე; თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი; საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მთავარი მრჩეველი; საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე; საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო 2017 წლიდან იკავებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის თანამდებობას. მას გამოქვეყნებული აქვს 100 მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია და 17 მონოგრაფია.

# ქართული ფეხბურთი დაბრუნდა



**ფეხბურთი** მართლაც საოცარი რამაა.

ადამიანის მიერ გამოგონილ მრავალ სენსაციურ აღმოჩენებთანაც შეიძლება მისი შედარება.

ფეხბურთს შეუძლია ათობით, ასობით ათასი, ტელევიზიის საშუალებით კი მილიონობით ადამიანისათვის ბედნიერების მინიჭება.

მართალია, არის იმედგაცრუების შემთხვევები, მაგრამ ნამდვილი გულშემატკივრისათვის მარცხიც კი მომავალი გამარჯვებების და იმედების საფუძველი ხდება.

ფეხბურთს შეუძლია მოსისხლე მტრებიც კი ერთად აზეიმოს და დაამეგობროს.

ასეთი რამ მოხდა სულ ახლახანს, ევროპის ჩემპიონატზე გერმანიაში, სადაც საქართველოს ნაკრებმა „ტრადიციები დაარღვია და ნათელ შუქად იქცა „ბებერი ევროპის" შუაგულში გამართულ პაექრობაში.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ სენსაციაზე, მაგრამ ეს სენსაცია არ ყოფილა, უბრალოდ საქართველო დაბრუნდა იქ, სადაც მისი ადგილი იყო, გამოავლინა ის თვისებები, რომელიც ყოველთვის ჰქონდა და რომელიც ბოლო სამი ათეული წელია დავიწყებული იყო.

21-ე საუკუნის ახალგაზრდობას მხოლოდ მითები ეგონა ქართული ფეხბურთის უდიდესი წარმატებები, ამიტომ გულშემატკივრობდნენ უცხოურ გუნდებს და ნაკრებებს და უნდობლად უსმენდნენ მამების თაობის მონათხრობს თბილისის „დინამოს" დიუსელდორფის ტრიუმფზე, ესპანეთიდან „კარაველას" თასის ჩამოტანაზე – მადრიდის „რეალთან" და მიუნხენის „ბაირნთან" ჭიდილში რომ მოიპოვეს.

მე არ მინახავს პაიჭაძის, ღოღობერიძის, მესხის თაობა, მაგრამ მეოცე საუკუნის 70-იანი წლების "დინამო" კარგად ვიცი. როგორ შეიძლება დაივიწყო თბილისში იმდროინდელი ჩემპიონთა თასის მფლობელი „ლივერპულის" განადგურება დინამოს სტადიონზე, 100 ათასი მაყურებლის თვალწინ. ბევრმა დღეს არ იცის, რომ მაშინ, ინდივიდუალური სკამების დამონტაჟებამდე დინამოს სტადიონზე ოფიციალურად 75000 მაყურებელი ეტეოდა, მაგრამ გასასვლელებში და კიბეებზე ჩამომსხდარი გულშემატკივრების ჩათვლით ასი ათასი ადამიანი ადევნებდა თვალს ქართველი ფეხბურთის ჯადოქრების საოცარ თამაშს.

დღეს მხოლოდ იმდროინდელი „დინამოს" რამდენიმე მატჩის ჩანაწერია შემორჩენილი, თუმცა ისინი სრულად ვერ ასახავს იმ ოსტატობას, რასაც ქართველი ფეხბურთელები აჩვენებდნენ და რისთვისაც მათ სანახავად მთელი საქართველოდან და არა მარტო საქართველოდან მოდიოდნენ მაყურებლები.

მაგრამ დავუბრუნდეთ „ევრო-2024"-ს. საქართველოს ნაკრებმა გააოცა ევროპელები, გააოცა პირველ რიგში იმ ემოციური და ვაჟკაცური თამაშით, რაც რაციონალურ ევროპულ ფეხბურთის დიდ ნაკრებებს აღარ ახასიათებთ.

ევროპელებს გაუკვირდათ, სუპერკომპიუტერი შეცდა, როცა შედეგებს წინასწარმეტყველებდა. მაგრამ, ყველა ქართველი გულშემატკივარი დარწმუნებული იყო წარმატებაში, უფრო მეტსაც მოველოდით, ესპანეთის ნაკრებს რომ არ დავჯახებოდით მერვედფინალში, იმ ესპანეთს, რომელიც დღეს უდაოდ მსოფლიოში საუკეთესო გუნდია.

რაც შეეხება ჩვენი ფეხბურთელების საოცარ დახვედრას და ერთობლივ ზეიმს, ესეც ჩვენს



ხასიათშია. არანაკლები ზეიმი იყო 1981 წლის 13-14 მაისის ღამეს, როცა მთელი საქართველო გარეთ იყო გამოსული და რაც განსაკუთრებით თბილისის ქუჩებში ხდებოდა.

ეს იცოდნენ იმ თაობის ადამიანებმა, იცოდნენ, რომ ჩვენ ზეიმი განსაკუთრებული და ემოციური ვიცით. სწორედ ამან ათქმევინა იმ მატჩის კომენტატორ კოტე მახარაძეს, რომელსაც მთელ საბჭოთა კავშირში მიჰყავდა რეპორტაჟი დიუსელდორფიდან: – „წარმომიდგენია რა ხდება თბილისში..."

სწორედ ასეთი წარმოუდგენელი რამ ხდებოდა თბილისში პორტუგალიასთან გამარჯვების შემდეგ.

ჩვენ ახალ წარმატებებს ველით, რადგან დარწმუნებული ვართ, დიდი ფეხბურთი დაბრუნდა საქართველოში. ჩვენ უკვე გვყავს მსოფლიო დონის ფეხბურთელები: მამარდაშვილი, კვარაცხელია, რომელიც დათო ყიფიანს მაგონებს, თუმცა უფრო ნიჭიერიც მგონია და შეუძლია კიდევ ბევრჯერ გაგვაოცოს, მიქაუტაძე, რომელიც ბომბარდირთა დავაში ნახევარფინალამდე ლიდერობდა, თუმცა მერვედფინალის შემდეგ თავის მონაპოვარს ვეღარაფერს შემატებდა...

„ევრო 2024-მა საქართველო გააბედნიერა და მომავლის იმედი ჩაუსახა.

წინ, საქართველო!

*ზურაბ აგულაშვილი*

***P.S.* საგარეჯო, ისევე, როგორც სრულიად საქართველო და ემიგრაცია იმ დიდ ეიფორიაში იყო ჩართული, რაც „ევრო-2024"-ში ქართულმა ფეხბურთმა გამოიწვია – ერთადერთი ამოსუნთქვით გულშემატკივრობდა იმ დღეებში ქართული ფეხბურთის წინ გადადგმულ ნაბიჯებს... მერე რაა, რომ ... წაგება და მოგება მეგობრები არიან.**

# იტალიელები: „სიეტე ბრავი, ლა ჯორჯია ე გრანდე!.."

## ფინჯანი კაპუჩინო, ცოტა ფეხბურთი და ჩემი საქართველო რომში...



**იმ** დილით კაპუჩინოს ახალი აპარატი გამოვცადე. სასაუზმოდ ადრიანად ავწრიალდი, თუმცა ფეხი ავითრიე და ის ის იყო, კრისტიანო ახალი მოსული გახლდათ, გონს მოსვლა არც ვაცალე, ხელებში შევაჩეჩე ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა . ...პატარა იტალიური რეკომენდაციები ნამდვილად არ მაწყენდა. ერთად წავიკითხეთ, მე ალბათ უკვე მესამედ. წვრილმანი დეტალები, თავად არაფრად რომ მიმაჩნდა, ფუნდამენტური და ერთობ აუცილებელი აღმოჩნდა და ცოტა ხანში თეთრ მაგიდასთან, გამჭვირვალე ფინჯნებში უკვე დარიჩინმოყრილ კაპუჩინოს შევექცეოდით. კრისტიანო ჩემი შვილის ექთანია. ნამდვილი იტალიელია, თუმცა ირლანდიაში ოცნებობს გაატაროს სიბერე. -დღეს ფეხბურთია. ჩვენები თამაშობენ". სიამაყით განვუცხადე საქართველო რომ ხვდებოდა ჩეხეთს ჰამბურგში, ევროპის ჩემპიონატზე. შეგიძლიათ ნებისმიერი რამ ჰკითხოთ, როგორ განგმირა ავსტრალიურმა გრძელცხვირა თევზმა მყვინთავის გული და 90-იანი წლების ზაფხულში, რამდენ გრადუსს უჩვენებდა თერმომეტრი ნიუ-იორკში. ოღონდ არა ფეხბურთი. -რანაირი იტალიელია? მახსოვს, გაცნობის პირველ დღეებში რომ ამეკვიატა, მაგრამ შემდეგ პასტა და ლაზანიე მოამზადა ბებიის რეცეპტით და იქ მივხვდი, იშვიათად, თუმცა ისეთი იტალიელებიც არსებობდნენ, ნაკლებად რომ სუნთქავდნენ ფეხბურთით. ჩვეული, ზრდი-

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

# სოფლის მეურნეობა

# რწყვის სეზონი დაიწყო

## როცა წყალზე მოთხოვნა ჯერჯერობით ნაკლებია...



***წლევანდელი** ზაფხულის ივნისი ნალექიანობით წინა წლებისას ნამდვილად აჭარბებს და ხელს უწყობს ერთწლიანი კულტურების მოყვანით დაკავებულ გარეკახელ მინდვრის მშრომელებს. მეორეს მხრივ კი, დიდ და რისკებსა და პრობლემებს ქმნის მევენახეობაში. ასეა თუ ისე, კარზე მოგვადგება მკათათვის ყველაზე ცხელი და გვალვიანი პერიოდი სოფლის მეურნეობის მშრომელთა საქმიანობაში, რაც აუცილებლად მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვას, რის გარეშეც შეუძლებელია უხვმოსავლიანობის მიღწევაზე საუბარი. ამის გათვალისწინებით, ივნისის ნახევრიდან ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის ორივე მაგისტრალურ არხში გაშვებულია ივრის სარწყავი წყალი, რითაც მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში რწყვის კამპანიამ თანდათანობითა და ნელ-ნელა სტარტი აიღო.*

***თუ როგორ მიმდინარეობს და რა სიახლეებია ჩვენი მინდვრის მშრომელთათვის წლევანდელ ამ დიდმნიშვნელოვან კამპანიაში, ამასთან დაკავშირებით ვეწვიეთ „ქვემო სამგორის სერვის ცენტრის" ახალ უფროსს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტსა და მეზობელ – კაჭრეთის ზონაში თავისი საქმიანობითა და გულისხმიერებით ცნობილ მელიორატორს დიმიტრი (დიმა) მჭედლიშვილს. ამ თანამდებობაზე ჩვენი უღალატო რესპოდენტი მიმდინარე წლის 22 აპრილიდან დაინიშნა. მანამდე კი ამავე სამსახურის მთავარ ინჟინრად და უფროსის მოადგილედ მუშაობდა და ყოველთვის თავის მთავარ სიტყვას ამბობდა ამ სამსახურის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტის საქმეში. ამაში მას ალბათ ის მრავალწლიანი გამოცდილებაც ეხმარებოდა და ეხმარება, რაც მან დააგროვა მელიორაციაში გამოცდილ გარეჯელ მელიორატორებთან ერთად მუშაობისას, ჯერ ე.წ. საბჭოთა პერიოდში, 2013 წლიდან კი საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების სისტემაში, სადაც 2015 წლიდან მთელი 9 წლის განმავლობაში მთავრი ინჟინრის პასუხსაგებ თანამდებობას იკავებდა. მასთან ერთად სამუშაო კაბინეტში სერვის-ცენტრის მაგისტრალური არხების უფროსი მირიან თედიაშვილი და მისი მოადგილე ოთარ მათიაშვილი დაგვხვდნენ. მათ სწორედ იმ მომენტში ვეწვიეთ, როცა სამსახურის უფროსი ტელეფონით კაკაბეთის ფოლკროლურ ანსამბლ „ბერიკაცების" უფროსს ნიკო გიგოშვილს ესაუბრებოდა კაკაბეთში ამ უკანასკნელის სავარგულებამდე სარწყავი წყლის მიყვანაში შესაძლო დახმარების გაწევის შესახებ. დიმიტრი მჭედლიშვილმა მისთვის ჩვეული გულმოდგინებით მოისმინა და გაანალიზა პრობლემის არსი, შესაბამისი მითითება მისცა მირიან თედიაშვილს და ჩვენთან საუბრისთვისაც მოიცალა.***

– რწყვის სეზონს, როგორც წესი – ყოველთვის ივნისის დასაწყისიდან ვიწყებთ ხოლმე. მაგრამ, წლევამდელმა ნალექიანობამ კორექტივა შეიტანა ამ საქმეში და მოგვიანებით, 15 ივნისიდან შერჩევით დავიწყეთ რწყვა. თავიდან, რადგან მოთხოვნა არ იყო წყალზე, ნაკლები რაოდენობით გავუშვით. წყალი ორივე მაგისტრალზე, რომლის ფართობებზეც გაშენებულია ერთწლიანი კულტურები – სიმინდი და იონჯა. სადღეისოდ (28/VI) კი მარჯვენა მაგისტრალურ არხში გაშვებულია 6.2 $მ^3$, მარცხენაში – 3 $მ^3$ სარწყავი წყალი. მაგრამ, იმდენად მცირეა აღნიშნული კულტურების ფართობები, რომ ამ პირობებში, სარწყავ წყალს უპრობლემოდ ვაწვდით კაჭრეთის ზონაშიც, სადაც სხვა წლებში 13 $მ^3$ პირობებშიც კი გვიჭირდა წყლის მიწოდება. რაც შეეხება ვენახებს და სხვა მრავალწლიანებს, მათი რიგი ალბათ კარგა ხნის შემდეგ დადგება.

***– ვიდრე სხვა საკითხებს შევეხებოდეთ, პირველ რიგში გავარკვიოთ, როგორი იქნება წელს რწყვის ტარიფი, რაც მუდამ აინტერესებს ხოლმე ამ კამპანიაში მონაწილეთ და ჩვენს მკითხველს. მართალია, გაჭირვებაში მყოფი კაცი არაფერზე დაიხევს უკან, მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ ამ გადასახადის გარდა, ბენეფიციარებს გაცილებით მეტი უჯდებათ სავარგულებამდე წყლის მიყვანა და მორწყვა...***

– კარგით, გეტყვით. ჩვენს ბენეფიციარებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ, რადგან არსებულ გადასახადებში და რწყვის ჯერადობაში არავითარი ცვლილება არ არის და არც გადასახადის გადავადებაში. მომხმარებელს კვლავ უფლება აქვს გადასახადი სექტემბრის ბოლომდე ნებისმიერ დროს, ოქტომბრამდე დაფაროს.

***– რა მდგომარეობაშია, დასრულდა თუ არა მეცხრე გამანაწილებლის მშენებლობა, რომლითაც, მანავისა და თოხლიაურის მოსახლეობა სარგებლობს?***

– ჯერ მთლიანად არა, მაგრამ ნაწილი ამ ქსელის სამუშაოებისა შესრულდა და შეუძლია მომხმარებელს გაუწიოს მომსახურება.

***– წელსაც იმუშავებს ვერხვიანის სატუმბი სადგური, რომელიც მიმდებარე სოფლების სავარგულებს ემსახურება?***

– რა თქმა უნდა! ხვალიდან აქ გავუშვებთ წყალს და ჩვეულ რიტმში გაუწევს მომსახურებას მასზე მიმაგრებული ფართობის პატრონებს.

***– კახეთის ავტობანის მშენებლობის გამო დაზიანებული იყო პატარძეულის არხის გარკვეული მონაკვეთები. თუ გამოსწორდა რწყვის დაწყებისათვის ეს დეფექტები?***

– არ ვიცი, საიდან შეიტყვეთ ამის შესახებ, მაგრამ გეტყვით, რომ ეს მცირე მოცულობის დაზიანებები მალევე იქნა აღმოფხვრილი ზემოხსენებული სამშენებლო კომპანიის მშენებლების მიერ.

***– თუ დასრულდა ხაშმში კატასტროფული წყალსადენის მოწყობა?***

– კი და ამიერიდან ამ სოფლის მოსახლეობას და მათ სავარგულებს აღარ დაემუქრებათ ჭარბი წყლის გამო დატბორვის და მოსავლის განადგურების საშიშროება.

***– უკვე წლებია მიმდინარეობს საუბარი ივრის სარწყავი სისტემის სათავე-ნაგებობის აკვატორიის გაწმენდის სამუშაოების დაწყების შესახებ. წელს მაინც თუ დაიწყება ეს საქმე?***

– გვპირდებიან, რომ ეს სამუშაოები უახლოეს ხანებში დაიწყება. საუბარია 5 ჰექტარ აკვატორიაზე, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს წყალსაცავში დიდი ოდენობის წყლის მარაგის შექმნას.

***– წელსაც თუ აგრძელებენ მუშაობას სერვის-ცენტრის ძველი დამხმარეები – მსოფლიო და აზიის განვითარების ბანკები. კერძოდ, ვინ რას აკეთებს ან გააკეთებს ჩვენი – გარეკახეთის მთავარი სარწყავი სისტემის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აღჭურვის და გამართულად მუშაობისათვის?***

– როგორც შარშან და წინა წლებში, მსოფლიო ბანკის მეშვეობით კვლავაც გრძელდება არსებული დეფექტების აღმოფხვრა-გამოსწორების სამუშაოები მარჯვენა მაგისტრალის არხზე, რაც შეეხება აზიის განვითარების ბანკს, აქ მუშაობენ ჩაილური-მზისგულის ახალი დახურული ქსელის მშენებლობის დაწყებაზე. ჯერჯერობით მიმდინარეობს წინა მოსამზადებელი სამუშაოები. მშენებლობის დასრულების შემდეგ კი წყალმოსარგებლეებს უფრო იოლად და კომფორტულად შეეძლებათ მათთვის სასურველ დროს და რაოდენობით, ყოველგვარი ზედმეტი სამუშაოს გარეშე მიიღონ სარწყავი წყალი.

***– მომავალ სიახლეებზე საუბარი მომავლისთვის შემოვინახოთ. წარმატებები თქვენს პირად და სამსახურებრივ საქმიანობაში.***

*გივი დაბახიშვილი*

# ინფრასტრუქტურა-2024

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით ინფრასტრუქტურული პროექტების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს**

## სოფელი ნინოწმინდა

**მუნიციპალიტეტის** მერმა, **ავთანდილ გულიკაშვილმა,** პირველ მოადგილესთან ერთად, სოფელ ნინოწმინდაში მე-10 ქუჩის მოასფალტების წინა- მოსამზადებელი სამუშაოები ადგილზე მოინახულა და ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებები მოისმინა.

პროექტის ღირებულება 899 880 ლარს შეადგენს, რაც 600 -ამდე გრძივი მეტრის გზის მოასფალტებას ითვალისწინებს.



## სოფელი მზისგული

**სოფელ** მზისგულში, სკვერის მოწყობის სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა, **ავთანდილ გულიკაშვილმა** პირველ მოადგილესთან, **ემზარი კუჭუაშვილთან** ერთად ადგილზე მოინახულა და კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენელს რეკომენდაციები გააცნო.





## მანავის თემი

**სოფელ** მანავში, 28-ე ქუჩის რეაბილიტაცია უკვე დასრულდა.



მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა** პირველ მოადგილესთან **ემზარი კუჭუაშვილთან** ერთად დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტი ადგილზე მოინახულა და ადგილობრივებს შეხვდა. საუბნო გზისა და ჩიხების რეაბილიტაციის დაფინანსების წყარო რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდი და ადგილობრივი ბიუჯეტია, რომელიც ჯამში 400 714 ლარს შეადგენს.

მოსახლეობამ თვითმმართველობის პირველ პირებს მახლობა გადაუხადა საჭიროებისა და პრობლემის დროულად გადაჭრისთვის და წარმატება უსურვა.

## სოფელი ყანდაურა

**სოფელ** ყანდაურაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები დაიწყო.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა, ავთანდილ გულიკაშვილმა სამუშაოები ადგილზე მოინახულა და მოსახლეობას ამ მნიშვნელოვანი პროექტის დაწყება მიულოცა.





## მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია

**კახეთში,** მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიისა და მისი 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ საჯარო განხილვა-დისკუსია გაიმართა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გამართულ საჯარო კონსულტაციაზე, 2024-2030 წლების სტრატეგიის შესახებ პრეზენტაცია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული განვითარებისა და მთის განვითარების დეპარტამენტის უფროსმა გიორგი დიდიძემ წარადგინა.

საჯარო კონსულტაციაში კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გივი მეტრეველი თელავის, გურჯაანის, ახმეტის, საგარეჯოსა და სიღნაღის ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან ერთად იღებდა მონაწილეობას.

საჯარო განხილვაზე იმსჯელეს სტრატეგიის მიზნების, ამოცანებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

„საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2024-2030"-ის მაკოორდინირებელ უწყებად განსაზღვრულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. დოკუმენტების დამტკიცებამდე, სავალდებულოა მათი საჯაროდ განხილვა და შესაბამისი უკუკავშირი.

## თბილისი-საგარეჯოს გზის მშენებლობა

**კახეთის** მაგისტრალის შემადგენელი თბილისი-საგარეჯოს გზის მშენებლობა აქტიურად გრძელდება. გზის პირველი მონაკვეთი - ვაზიანის შემოვლითი გზა ექსპლუატაციაში გასულ წელს შევიდა და ახალი გზის 4 კმ-იანი მონაკვეთით ავტოტრანსპორტი უკვე სარგებლობს

თბილისი-საგარეჯოს გზის მშენებლობა 3 მონაკვეთადაა დაყოფილი. პროექტის ფარგლებში, შენდება 4 ზოლიანი ცემენტ-ბეტონის ჩქაროსნული საავტომობილო გზა. 2 მონაკვეთზე, რომელიც ჯამში, 31 კმ-ია, ვაზიანი-საგარეჯოსა და საგარეჯოს შემოვლით გზას მოიცავს, სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და მისი დასრულება მიმდინარე წელს იგეგმება

თბილისი-საგარეჯოს 35 კმ-იანი გზის მშენებლობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ჯამური ღირებულება 527 მილიონ ლარზე მეტია

თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთი თბილისიდან კახეთის მიმართულებით დამაკავშირებელი ძირითადი მაგისტრალის და ასევე აზერბაიჯანის ჩრდილო–დასავლეთ რეგიონთან დამაკავშირებელი სატრანზიტო დერეფნის ნაწილია

ახალი გზა გვერდს აუვლის ისეთ მჭიდროდ დასახლებულ სოფლებსა და ქალაქებს, როგორებიცაა: ვაზიანი, სართიჭალა, ნინოწმინდა და საგარეჯო. თბილისი-საგარეჯოს გზა ლოჭინის კვანძის აღმოსავლეთით იწყება და თოხლიაურის კვანძის აღმოსავლეთით სრულდება. ახალი გზა სრულად განტვირთავს მოძრაობას დასახლებულ პუნქტებში, რაც გადაადგილების უსაფრთხოებას და მგზავრობის დროის შემცირებას უზრუნველყოფს

თბილისი-საგარეჯოს გზის მშენებლობის პროექტით გათვალისწინებულია 4 ზოლიანი ცემენტ-ბეტონის გარე განათების სისტემით აღჭურვილი ჩქაროსნული გზის მშენებლობა, რაც 110 კმ. საათში გადაადგილების საშუალებას მოგვცემს საერთაშორისო საგზაო უსაფრთხოების ნორმების დაცვით

კახეთისთვის, როგორც ტურისტული თვალსაზრისით ყველაზე მზარდი ინტერესის მქონე რეგიონისთვის, მნიშვნელოვანია თანამედროვე სტანდარტის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება





## ათეული წლების შემდეგ

**საგარეჯოს** საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურს სულმალე ახალი, თანამედროვე შენობა ექნება, რომლის მშენებლობას ათეულიწლები ელოდნენ.

ქ. საგარეჯოში, კახეთის გზატკეცილზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ახალი შენობის მშენებლობა დასკვნით ეტაპზეა.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1 153 000 ლარით ფინანსდება.

შენობის მიმდინარე სამუშაოებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელთან **ბექა ფეიქრიშვილთან** ერთად ადგილზე გაეცნო.





*ქეთი გრატიაშვილი,*
***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი***

# მადლიერების მისამართები

## სიკეთის ისტორიები გრძელდება... გვერდში დგომა და დიდი სტიმული



**თბილისში** დაიბადა და გაიზარდა. სკოლაც თბილისში დაამთავრა და კოლეჯი „მერმისის“ ტყავის აქსესუარების სპეციალობის სრული, მეოთხე საფეხურის კურსიც. 6 წელი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში ფეხბურთს თამაშობდა... მაგრამ თბილისზე მეტად საგარეჯო უყვარს – თითქმის დაბადებიდან. რატომ?! ფესვები ორივე მხრიდან საგარეჯოში აქვს – თავად ბურჯანაძეა და დედით როსტიაშვილი, მისი სულის ნავსაყუდელი ყოველთვის აქ იყო და ბოლოს გასული წლის გაზაფხულზე საგარეჯოში, სათავის ქუჩაზე, მამა-პაპეულ სახლში „გადმოსახლდა“ თავის სამუშაო იარაღებიანად. და გაეხსნა „მეორე სუნთქვა“, უფრო ნაყოფიერი გახდა მისი შემოქმედებითი მუშაობა, „მუზა“ უფრო მეტ კარგს სთავაზობს. უამრავი ადამიანი გაიცნო და რაც მთავარია – მასავით შემოქმედი, ყოველთვის ახლის ძიებაში მყოფი ახალგაზრდები...

ივლისის ამ ლამაზ დღეს რედაქციაში მესტუმრა, თავისი ნახელავი-ნასათუთევი გასაღებების ასხმულის ატრიბუტი და ბუ მომიტანა საჩუქრად, დამორცხვებული, მორიდებულად ზის, თვალებშიც ვერ მიყურებს, მაგრამ ისეთი აღელვებულია და სახეგანათებული... ვსაუბრობთ...

– თქვენ არ იცით, როგორი გახარებული, ფრთებშესხმული ვარ, ასეთი ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ! – ***მეუბნება***.

***მეც ადვილად ვხვდები და ვულოცავ იმ სიახლეს, რომელსაც ისე შეუცვლია დათო, ვეღარც კი ვცნობ.***

– როგორ გადამეხადა მადლობა, როგორ გამომეხატა ის სიხარული და თანადგომა. რაც მე ჯერ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსამსახურის უფროსის ქეთი გრატიაშვილიდან მივიღე და თავად მუნიციპალიტეტის მერის – ბატონ ავთანდილ გულიკაშვილისგან. ხოდა მოვედი, გაზეთის საშუალებითაც მინდა გამოვხატო ეს სიხარული და მადლიერება, რაც მე განვიცადე. გაზეთი რაიონის მატიანედ დარჩება, სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული კი, მართალია, ელვასავით ვრცელდება, მაგრამ დიდხანს ვერ ინახავს ინფორმაციას, – ***მეუბნება სალონ – „დავითას ხელნაკეთი აქსესუარების“ მფლობელი,*** – როცა სოციალური ქსელით ქალბატონმა ქეთიმ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ გაგრძელდა სიკეთის ისტორიები და ახალგაზრდობის გააქტიურებისათვის განათლების კუთხით და დამწყები ინდმეწარმის, ადგილობრივი ბიზნესის განვითარების მიზნით, შევეხმიანე, გავბედე და არც კი ვიცი, როგორ გითხრათ... გამომიძახეს და ბატონმა ავთანდილმა რაიონის სხვა ახალგაზრდებთან ერთად ახალი ლეპტოპი გადმომცა – ადგილობრივი ბიზნესის განვითარების მიზნით, დამწყები მეწარმისათვის საჩუქრის



პროგრამით. მე ვერ აგიწერთ იმ სიხარულს, იმ განცდას, რაც დამემართა და დღემდე კი არა, ალბათ სიცოცხლის ბოლომდე გამყვება. ეს ჩემთვის, იცით, რაც ნიშნავს?! ერთი წელია, რაც საგარეჯოში საბოლოოდ დამკვიდრებული ვარ და იმხელა სითბო და მზრუნველობა ვიგრძენი რაიონის ხელმძღვანელობის მხრიდან, საერთოდ, ჩემი ცხოვრების 42 წლის მანძილზე რომ არ მიგვრძნია.

***– რას ნიშნავს შენთვის ახალი ლეპტოპი?! – ვეკითხები დავითს.***

– მე მხოლოდ ლეპტოპი როდი მაჩუქა ბატონმა ავთანდილმა, ქ-ნი ქეთის შუამდგომლობით (ქეთიმ ჩვენი, ჩვენი რაიონის ყველა ხელოვან-შემოქმედის საქმიანობა ზედმიწევნით კარგად იცის და გვეხმარება შეძლებისდაგვარად ჩვენი შემოქმედებითი ნიჭის გაფართოებაში), ბატონმა ავთანდილმა პრინტერიც მაჩუქა. ეს ნიშნავს იმას, რომ ლაზერულ გრავირებას – რკინის შტამპებს ხელით ვაკეთებდი, რაც ძალიან დიდ დროს და ნებისყოფას მოითხოვდა. თანაც ქართული შრიფტის ნაცვლად, მუშაობა მიწევდა ლათინურ ანბანზე. და დღეს მე ამას ყველაფერს გაადვილებულად, შემჭიდროებულ ვადებში ვამზადებ. ასეთი მუშაობა კი ნიშნავს იმას, რომ საბაზრო ღირებულებასთან შედარებით, ჩემს მიერ გამოშვებული პროდუქცია ნაკლებ ფასად შეიძლება გაიყიდოს... და პრინტერი კიდევ გააფართოებს ჩემს საქმიანობას – დავამზადებ რეკლამებს, შეკვეთილ ნივთთან ერთად რეკლამას ლამაზად ჩავდებ ყუთში და გავაგზავნი ადრესატთან. თანაც, ეს ადრესატები თუ საზღვარგარეთ მცხოვრები ემიგრანტები არიან?! დიახ, იტალიიდან უამრავი ემიგრანტი მეხმიანება და მაძლევს შეკვეთას ტყავის აქსესუარებზე – „ბრელოკებზე“ გვარ-სახელის დატანებაზე, საფულეებზე.ახლახანს შეკვეთები მივიღე სასექტემბროდ სკოლის მოსწავლეთათვის cardfolder–ის დასამზადებლად... საგარეჯოელებს აინტერესებდათ სანადირო თოფების ღვედები და უამრავი სხვა აქსესუარები.ახლა შემეძლება იმდენი და ისეთი პროდუქცია გამოვუშვა, რომ მაღაზიებშიც შევიტანო გასაყიდად...

**მადლობა** ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, პირადად მუნიციპალიტეტის მერს ***ბატონ*** **ავთანდილ გულიკაშვილსა** და მუნიციპალიტეტის მერის პრესსამსახურის უფროსს **ქეთი ბრატიაშვილს**, ეს დიდი მოტივაციაა, დამერწმუნეთ, დიდი სტიმულია სიახლეების ძიებასა და ჩემი მხრიდანაც სიკეთეების კეთების დიდი შესაძლებლობა.

## „ზაფხულია, ცხელა, ცხელა...“
# აქ ეუფლებიან ცურვის ხელოვნებას

***ა(ა)იპ „საგარეჯოს 105-ე სასპორტო სკოლა“ ჩვენს მუნიციპალიტეტსა და მის***



***ახლო-მახლო სოფლებში ერთადერთი დაწესებულებაა, სადაც ჩვენი პატარები, ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობები სპორტის საინტერესო და მიმზიდველ სახეობას – ცურვის ხელოვნებას ეუფლებიან. აქ აღარაფერს ვიტყვით იმ სიკეთეზე, რაც ცურვას პატარების და ზოგადად, ადამიანების ცხოვრებასა და ჯანმრთელობისათვის მოაქვს.***

***ჩვენი პატარების სპორტის ამ სახეობის დაუფლებასთან ერთად, ეს დაწესებულება იმითაცაა ღირსშესანიშნავი და საგარეჯოელებისათვის (და არა მარტო მათთვის) მიმზიდველი და საინტერესო, ხომ პატარების სავარჯიშო მცირე საცურაო აუზის გარდა, მას გააჩნია დიდი, ღია საცურაო აუზიც, სადაც ნებისმიერი ასაკის ადამიანებს შეუძლიათ თავი შეაფარონ ზაფხულის სიცხეებს და ისიამოვნონ წყალში ცურვით. ღმერთმა ყველას მისცეს, მაგრამ ყველას რომ არ აქვს ზღვაზე გამგზავრებისა და იქ დასვენების საშუალება. ჰოდა, სწორედ ასეთ სამსახურს სთავაზობს ეს სკოლა ჩვენს თანამოქალაქეებს.. როგორც წესი, ეს დაწესებულება თავის „სიცოცხლესა“ და ფუნქციონირებას ზაფხულის დადგომიდან იწყებს. როგორც ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობა სასწავლო პროცესს ამთავრებს და საშუალება ეძლევათ არდადეგებზე ამ დაწესებულების მომსახურებით ისარგებლონ. როგორც აქ მომსვლელთა სტატისტიკა მოწმობს, კარგა ხანია ეს ადგილი თანდათანობით ხდება ჩვენი მოზარდი თაობების ერთ-ერთ გამორჩეულ და საყვარელ ადგილად. ეს კი შედეგია იმ ყურადღებისა და მზრუნველობისა, რასაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ამ ბოლო წლების მანძილზე იჩენს სკოლის თანამედროვე ევროპული სტანდარტების მოთხოვნათა მიხედვით აღჭურვისა და შეუფერხებელი მუშაობისათვის. აი, დადგა მოსწავლეთა არდადეგებიც და სკოლამ კვლავ ფართოდ გაუღო კარი ქალაქ საგარეჯოსა და მუნიციპალიტეტის სოფლების პატარებს და, აი ჩვენ ამ სკოლის სტუმრები ვართ. როგორც ყოველთვის, საქმეში გართულსა და დაკავებულს შევხვდით სკოლის ვეტერან მთავარ ბუღალტერს, ჩვენი გაზეთისა და საერთოდ მუნიციპალიტეტის დიდ გულშემატკივარს, ბ-ნ თემურ ილაურს. 17 წელია, რაც ის ამ დაწესებულებაში მუშაობს და ზეპირად ახსოვს და აქვს აღნუსხული, ამ სკოლისათვის ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიება. როგორც მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მუნიციპალიტეტის გამგეობას ყველა საჭირო ღონისძიება გაუტარებია, რომ ეს დაწესებულება სრული მზადყოფნით შეხვედროდა ახალი საცურაო სეზონის დადგომას.. გარემონტდა და შეიღება საცურაო აუზი, დაიგო ახალი ფილაქანი, გარემონტდა საშხაპეები და გასახდელები, შეიღება შენობის ინტერიერი და სხვა. 27 მაისიდან კი აქ პირველი მომსვლელებიც მიიღეს.***

***ამ ორიოდე დღის წინ კი სკოლის ცხოვრებაში ერთი სიახლეც დანერგილა – ძველის ნაცვლად ახალი დირექტორი*** **ნიკა კვეზერელი** ***დაინიშნა, რომელმაც ამ პოსტზე მამამისი შეცვალა.***

– წელს ამ სეზონზე წინა წლებისაგან განსხვავებით ცურვის შესწავლის მსურველთა აქამდე არნახული რაოდენობა დაფიქსირდა. სადღეისოდ, ჩვენთან 230 ბავშვი მეცადინეობს და ბევრიც გამოთქვამს სურვილს გახდეს ჩვენი მოსწავლე, მაგრამ ისეა გადატვირთული სამუშაო გრაფიკი და ჯგუფები, რომ იძულებული ვართ ჯგუფებში გათვალისწინებული მეცადინეობების დამთავრებამდე გადავუვადოთ ეს საქმე, ***მეუბნება ბატონი*** **თემური.**

***– ეს 230 ბავშვი რამდენ ჯგუფშია გადანაწილებული და ვინ ასწავლით მათ ცურვას?***

– ჩვენთან ცურვის მასწავლებლად ხელშეკრულებით აყვანილი გვყავს მასწავლებელი გია ხუროშვილი, რაც შეეხება ჯგუფების რაოდენობას, შექმნილი გვაქვს 5 ჯგუფი, რომლებშიც საშუალოდ 15-16 ბავშვია გაერთიანებული. თითოეულ ჯგუფს სამეცადინოდ ეთმობა 1 საათი. ისე, რომ მეცადინეობას ვიწყებთ 13 საათზე და მთავრდება 18 საათისათვის. მეცადინეობები ტარდება ყოველ დღეს კვირის გარდა..



***– ღია საცურაო აუზი როგორი გრაფიკით მუშაობს?***

– ეს აუზი იხსნება დილის 10 საათიდან და მუშაობს საღამოს 19 საათამდე, ყოველ დღეს, გამონაკლისია კვირა, როცა აუზი 12 საათიდან იწყებს მუშაობას..

***– რა თანხაა განსაზღვრული ბავშვის მიერ ერთი სასწავლო კურსის გავლისათვის?***

– ჩვენთან მოსული ბავშვები გადიან მეცადინეობის 12 დღიან კურსს და ეს სწავლება და აბონემენტის ღირებულება შეადგენს 30 ლარს.

***– დიდების აუზზე როგორ არის ამ მხრივ საქმე?***

– ღია აუზზე 1 კვირიანი (6 დღის აბონემენტის ფასია 20 ლარი, ერთჯერადი – 2 საათიანი ვიზიტის ფასი კი 5 ლარია.

***– როგორია სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებთან მიმართება?***

– სადღეისოდ ჩვენთან ასეთი ოჯახების 10-მდე ბავშვი მეცადინეობს, რომლებსაც სწავლების საფასურს მუნიციპალიტეტის გამგეობა უფინანსებთ.

***– ისიც გვითხარით, რა ასაკიდან შეუძლიათ მოიყვანონ მშობლებმა ბავშვები თქვენთან ცურვის შესასწავლად?***

– დადგენილი წესების მიხედვით ეს არის 6 წელი და ზევით.

***– დაწესებულებაში შემოსულმა ჩემთვის უცნობი რამდენიმე პიროვნება შევამჩნიე...***

– ესენი ხელშეკრულებით აყვანილი ინსტრუქტორები არიან, რომლებიც მეთვალყურეობას უწევენ და ზრუნავენ მოცურავეთა უსაფრთხოების დაცვის საქმეზე.

***– წინა წლებში სკოლაში ცურვის შესასწავლად კაჭრეთიდან და სართიჭალიდანაც დაჰყავდათ ბავშვები. წელს თუ გყავთ მუნიციპალიტეტის გარე სოფლებიდან ასეთი მსურველები?***

– ჯერჯერობით არა, მაგრამ რომც იყვნენ, როგორც გითხარით, ჯგუფები გადავსებულია და გვიჭირს ახალი მოსწავლეების მიღება. აი, ახლახანს ბადიაურიდან მივიღეთ ხარებაშვილების ბავშვები, ველოდებით ბავშვებს პატარძეულიდან, მაგრამ მათი მიღება ალბათ მომდევნო ნაკადზე მოგვიხდება, რადგან პრაქტიკულად მეტი მეცადინეობების ჩატარება ვერ ხერხდება.

***– კარგით, პატარების მიმართ თქვენი დამოკიდებულება რომ ვიცი, მათ ნამდვილად არ დაალალატებთ, თქვენთან მოსულ ჩვენს მომავალ თაობებს კი ცურვის საფუძვლიანად დაუფლებას და თქვენთან საზაფხულო არდადეგების ნაყოფიერად გატარებას ვუსურვებთ!***

*გივი დაბახიშვილი*

## მრავალშვილიანი ოჯახი – სიმდიდრე ქვეყნისა

# დიდი ოჯახისა და ჩვენი ქვეყნის იმედი და სიხარული

***ამ დიდი ოჯახის დარი მრავალსულიანი და მრავალშვილიანი ოჯახები, სადღეისოდ საგარეჯოში კი არა, ალბათ მთელს საქართველოში იშვიათობაა და მათი რიცხოვნობა თითებზე ჩამოითვლება. ჩვენდა სამწუხაროდ და ქვეყნის საზიანოდ, წავიდა შვიდ და ცხრა ძმა-სულიანი ოჯახების დრო. და ქართველი კაცი ერთ ან ორ შვილს თუღა იყოლიებს. მახსენდება გასული საუკუნის 70-იანი წლებისათვის გავრცელებული სომეხთა კათალიკოს-პატრიარქის ვაზგენ II-ის მიერ ქართველებზე გამოთქმული თუ მართლაც ნათქვამი: „ქართველები, შესაძლებელი რომ იყოს, ალბათ ნახევარ შვილსაც იყოლიებდნენ". ამ გამონათქვამის სიცრუე-სიმართლეზე რა მოგახსენოთ, მაგრამ იმის თქმა კი შეგვიძლია, რომ ქართველობის უმრავლესობა ამას ეკონომიური ხელმოკლეობისა და სიდუხჭირის ნაყოფად მიიჩნევს, თუმცა წიკლაურების ოჯახის მაგალითი, რომელიც ახლა გვინდა წარვუდგინოთ მკითხველს, სრულიად სხვაზე მეტყველებს და მიგვანიშნებს, რომ ამ პრობლემებში შესაძლებელია მრავალი შვილის, ოჯახისა და ჩვენი ქვეყნის დიდი დიდი სიხარულისა და მომავლის დიდი იმედების ყოლა.***

> „იმისათვის, რომ ნაციონალური თვითგანადგურების რეალური საფრთხისაგან თავი გადავირჩინოთ, ქართულ ოჯახში ერთ-ორშვილიანი სისტემის ნაცვლად უნდა დაინერგოს ხუთ-ექვს შვილიანი სისტემა".
>
> *იოსებ იმედაშვილი, 1916 წელი*



***ბავშვობის ადრეულ ასაკში მოუწია მამით ობლობის სიმწარის გამოცდა ფშავ-ხევსურეთში ერთ-ერთი უდიდესი გვარის– წიკლაურების მანაველ ნაშიერს – არჩილ (აჩიკო) წიკლაურს. დედამ ლალი წიკლაურმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სწორად აღეზარდა და მართალ გზაზე დაეყენებინა ის და მისი უფროსი და. მისი მამა –თამაზი წიკლაური, საგარეჯოს რაიმილიციის ყოფილი თანამშრომელი, სწორედ იმ ასაკში გარდაიცვალა, რა ასაკშიაც მოკლეს მამამისი,მანავის საბჭოთა მეურნეობის მეველე არჩილი, გასული საუკუნის 70-იან წლებში. მაშინ აკი დაიწერა კიდეც ამ ტრაგიკული ამბის შესახებ რაიონულ გაზეთ „ივრის განთიადში" რაიპროკურორ თემურ მარგებაძის სტატიებში „გასროლა ბურდიანის ვენახებში".***

***აჩიკო წიკლაურის პაპა და სეხნია მანავში გასული საუკუნის 60-იან წლებში, საგარეჯოს რაიონის ეგზოტიკურ და დიდი ტრადიციების მქონე სოფელ თარაქიდან ჩამოსახლდა, სადაც ერთად და შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ წიკლაურების, მაჩურიძეების, გიგაურების, აფციაურების, გოგოლაურების, თათარაშვილების ფშავ-ხევსურეთიდან გადმოსახლებული ოჯახები. მათი საქმიანობის და შემოსავლების ძირითადი წყარო მესაქონლეობა, მეფუტკრეობა და ხეზე კვეთის ოსტატობა იყო. განთქმული იყო აქაურთა თაფლი და ერბო-ყველი, რძე-მაწონი, წიფლით ნაკვები ტახები და მათ მიერ დამზადებული ცომის მოსაზელი ვარცლები და ორომები, თათარისა თუ სხვა ხის კოვზები და საყოფაცხოვრებო ნივთები. მაგრამ, გზის სიშორემ და საყოფაცხოვრებო პირობების უქონლობამ მაინც თავისი ქნა და მათ უფრო უკეთესი პირობების შესაქმნელად და დასამკვიდრებლად მანავში, ბურდიანისა და თოხლიაურში იწყეს ჩამოსვლა. თარაქის სულ ბოლო მოსახლე რაიონში განთქმული მონადირე იოსებ (წვერა) წიკლაური 80-იან წლებში გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს თავისივე სახლის წინ. ამ მცირე ექსკურსიის გაკეთება იმისათვის დაგვჭირდა, რომ კიდევ ერთხელ გაგვესვა ხაზი, რომ სიღარიბესა და უქონლობაშიც შესაძლებელია ბევრი შვილის აღზრდა თუ კაცი მოიწადინებს და ღ***მერთს მოუნდება. ჰოდა მივყვეთ, შემდეგ ამბებებს და მოვუსმინოთ ამ ოჯახის დიასახლის **თამარ კერატიშვილს**: „მე და აჩიკომ ერთმანეთი გავიცანით ნინოწმინდაში წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში, სადაც ვიყავი მგალობელი,აჩიკო კი მანავის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის სტიქაროსანი იყო. გაცნობიდან ერთ წელიწადში კი, 2014 წელს შევქმენით ოჯახი. სადღეისოდ ოჯახში ვართ 9 წევრი. არჩილ წიკლაური –38 წლის,თამარ კერატიშვილი –38 წლის, ლალი წიკლაური – 59 წლის, მარიამ წიკლაური – 9 წლის, მართა წიკლაური – 8 წლის, ელენე წიკლაური– 6 წლის, ევა წიკლაური– 4 წლის, ლაზარე წიკლაური –3 წლის, სალომე წიკლაური – 1 წლის.

***– ადრეც მინდოდა თქვენი მრავალშვილიანი ოჯახის მკითხველისათვის გაცნობა, მაგრამ სიმართლე რომ ითქვას, ეს ყველაზე მეტად თქვენი ოჯახის პირველი შვილისა და პირველი სიხარულის – მარიამის მიერ ამას წინათ საგარეჯოში გამართული ნელი სალაძის სახელობის ტანვარჯიშის რესპუბლიკურ ტურნირზე მიღწეულმა წარმატებამ განაპირობა. მოდი, მოგვიყევით, როგორი მოსწავლე და გოგონაა ჩვენი მომავალი ტანმოვარჯიშე.?***

– ჩვენი პირმშო – მარიამი შეგვეძინა 2015 წლის 23 თებერვალს.ამჟამად იგი სწავლობს საგარეჯოს II საჯარო სკოლის III კლასში და არის კარგი და ბეჯითი მოსწავლე; უყვარს მათემატიკა, ქართული და ინგლისური ენები.

***– როდის მიიყვანეთ მარიამი მედეა ვეკუას მიერ გახსნილ საგარეჯოს მხატვრული ტანვარჯიშის წრეზე სამეცადინოდ და რა წარმატებას მიაღწია მან საგარეჯოში გამართულ ნელი სალაძის რესპუბლიკურ ტურნირზე?***

– ქ-ნ მედეა ვეკუასთან მარიამი სამეცადინოდ შევიყვანეთ 2023 წლის სექტემბერში და მიუხედავად დროის ასეთი სიმცირისა, მან შეძლო II საპრიზო ადგილის დაკავება, რაც იმედებს გვაძლევს, რომ მომავალში მისგან კარგი ტანმოვარჯიშე დადგება.

***– თუ არ მეშლება, შარშან მედეა ვეკუას ჩვენებურმა აღსაზრდელებმა თბილისში გამართულ რესპუბლიკურ კონკურსში პირველი ადგილი დაიკავეს...***

– არა, მარიამს შარშან ამ კონკურსში მონაწილეობა არ მიუღია. სამაგიეროდ, იგი გამოდიოდა თელავში მხატვრულ ტანვარჯიშში გამართულ რეგიონულ შეჯიბრებაში და შეძლო III საპრიზო ადგილის დაკავება,მაშინ,როცა ამ წრეში ვარჯიში სულ რამდენიმე თვის დაწყებული ჰქონდა..

***– ვიცი, რომ მხატვრული ტანვარჯიშის გარდა, მარიამი სიმღერითაცაა დაკავებული და გარკვეული წარმატებებიც აქვს...***

– მარიამს ამის ნიჭი ადრეულ ასაკში აღმოაჩნდა და ხუთი წლის ასაკში მივიყვანეთ სიმღერაზე. იარა ერთი წელი, მაგრამ შემდეგ ვეღარ გავაგრძელეთ რაღაც მიზეზის გამო. თუმცა, იმდენად ძლიერი იყო მასში სიმღერის ნიჭი, რომ 8 წლისა ისევ შევიყვანეთ ანსამბლ „მი-რე-ლა"-ში ქ-ნ მარინა ურდულაშვილთან, რომელიც მას ასევე ასწავლის ფორტეპიანოს, სადაც წარჩინებით დახურა ერთი წელი. სიმღერაში წარმატებული იყო მარიამისათვის წლევანდელი ვარდობის თვე. – 18 მაისს, თბილისში კულტურის ცენტრ „მუზაში" გამართულ რესპუბლიკურ ტურნირზე მან შეძლო II ადგილის დაკავება..

***– როგორ ატყობთ, რომელი მისწრაფება ჭარბობს მარიამში – სიმღერის თუ ტანვარჯიშის ნიჭი?***

– ჯერჯერობით ორივე ძალიან უყვარს და უპირატესობას არც ერთს არ ანიჭებს, ვნახოთ, რა მოხდება მომავალში.

***– როგორი „მეოჯახეა" მარიამი და თუ აქვს გადაწყვეტილი, რა უნდა გამოვიდეს მომავალში?***

– მარიამი არის კარგი მეოჯახე,ყოველთვის მეხმარება პატარების მოვლაში და თითქმის ყველა საქმიანობაში. რაც შეეხება მომავალ პროფესიას –უნდა გახდეს სტომატოლოგი.

***– თქვენი ოჯახი საგარეჯოში 2019 წლიდან ცხოვრობს, მანამდე მანავში იყავით. რომელი უფრო მოსწონთ და უყვართ თქვენს პატარებს?***

– ორივე თანაბრად საყვარელია მათთვის, რადგან თითქმის ყოველ თავისუფალ დროს ვსტუმრობთ მანავს.

***– მშობლებიდან და და-ძმებიდან რომელი უფრო უყვარს?***

– ორივე მშობელი თანაბრად. და-ძმებიდან კი ყველაზე მეტად პატარა დაიკო – სალომე.

***– რას აკეთებს მოგზაურობის მოყვარული მართა, რომელსაც ძალიან უყვარდა „ნანავში" (მანავში) მამიკოს მანქანით გასეირნება?***

– მართა არის საგარეჯოს II საჯარო სკოლის II კლასის მოსწავლე. დადის სიმღერასა და ცეკვაზე.

***– ყველა ხევსური, ვიცი დანტეაო, ბრძანებდა თავის ერთ-ერთ ლექსში დიდი გოგლა ლეონიძე, რაც მას ხევსურულ სიმღერა-კაფიებში ნამღერმა პოეზიის მარგალიტებმა დააწერინა. ეტყობა ხევსურულ გენებში მოსდგამთ სიმღერის ნიჭი და სიყვარული. ახლა კი მინდა მართასა და მარიამთან ერთად შორიდან მოვიკითხო თქვენი მომდევნო პატარები. როგორ არიან, რას აკეთებენ?***

– ელენე, ევა და ლაზარე საგარეჯოს მეორე საბავშვო ბაღში დადიან. ელენეს მალე შეუსრულდება 6 წელი და გაისად ისიც შეაღებს სკოლის კარს ისე, რომ სახლში „დაუსაქმებელი" მხოლოდ 1 წლის სალომე რჩება.

***– თამუნა, შენ და აჩიკოს შვილების ყოლის ისეთი ტემპი გაქვთ ალბათ გაჩერებას არ აპირებთ. ჰა, როგორ არის საქმე, კიდევ ხომ არ აპირებთ პატარა წიკლაურების გამრავლებას?***

– კი, ვაპირებთ ველოდებით მეშვიდე პატარას.

***– ბარაქალა თქვენს მოწადინებასა და შემართებას! ბევრი შვილი ხომ ოჯახისა და მთლიანად ქვეყნის სიხარული და მომავლის დიდი იმედია. მოდი, ახლა იმაზე მოგვიყევი, ეკლესიურად როგორ ზრდის სტიქაროსანი მამა თავის პატარებს?***

– კი, აჩიკო მანავის ეკლესიის სტიქაროსანია და პატარებიც შეძლებისდაგვარად დაგვყავს ეკლესიაში წირვა-ლოცვაზე...

***– აჩიკო, ვეკითხები ბოლოს ღვთის სამსახურში ჩამდგარ ექვსი შვილის მამას – ძნელია ამდენი შვილის ყოლა და მოვლა-პატრონობა?***

– ნათქვამია „ღმერთი კაცს როგორც გააჩენს, ისე დაარჩენსო". რომ გითხრათ ადვილიაო, არ ვიქნები მართალი და არც მაშინ, თუ ვიტყვი ძნელიაო. შვილების აღზრდას ყოველთვის ახლავს სირთულეები, მაგრამ ღვთის შეწევნით ყველაფრის მოგვარებაა შესაძლებელი, მით უმეტეს იმ სოციალურ პირობებში,რაც სადღეისოდაა შექმნილი ჩვენს ქვეყანაში (იცინის). მე კი არა, ჩემი პატარები იქით მინახავენ და მეხმარებიან.

***– ჰოდა, აბა ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. ეს მეშვიდე და სხვა მრავალი! ჯერ ხომ ისევ ახალგაზრდები ხართ და „ჩამოწერას" არ ექვემდებარებით. თქვენი ოჯახის ისტორია იმის მაგალითია,რომ სხვა ქვეყნებში „წოწიალის" გარეშეც შესაძლებელია საქართველოში არსებობა და ასეთი დიდი, მამულიშვილური და საღვთო საქმიანობა. ვინძლო ამ წერილის წაკითხვისა და შენი ოჯახის ისტორიის გაცნობის შემდეგ კიდევ ბევრმა მიბაძოს თქვენს საქციელს და ჩვენი ერისა და ქვეყნის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და გაძლიერების ამ დიდ საქმეში თავისი წვლილიც შეიტანოს – იყოლიოს მეტი და მეტი შვილები.***

***ღმერთმა გაგაძლიეროთ და გადღეგრძელოთ თქვენს ოჯახთან და საყვარელ პატარებთან ერთად!***

*გივი დაბახიშვილი*

# იტალიელები: „სიეტე ბრავი, ლა ჯორჯია ე გრანდე!.."

**დასასრული**

## ფინჯანი კაპუჩინო, ცოტა ფეხბურთი და ჩემი საქართველო რომში...

ლობიანი კილოთი წარმატება გვისურვა და მეც ივნისის ხვატში გარეთ გავვარდი, 1-2 ბიუროკრატიული ამბის მოსაგვარებლად. თამაში 1:1 დასრულდა და ჩვენების მიერ ბოლოს ვერგატანილი გოლი უსიამოვნოდ დამაწვა გულზე. სრულიად სოციალური ქსელი ვამხნევებთ ერთმანეთს და შიგადაშიგ ჩვეული, ღვარძლიანი კომენტარებიც ჩნდება ინტერნეტსივრცეში. 26 ივნისისთვის სხვანაირად დავიწყეთ მზადება. მთელმა სამეზობლომ იცოდა,პორტუგალიას რომ ვხვდებოდით და დიიახ, კრიშტიანუ რონალდუც იქ იქნება-მეთქი, ამაყად ვუკრავდი თავს. ბარებში, მაღაზიებში, ავტობუსის გაჩერებებსა თუ მეტროში, ფოსტის როგში, კურიერს ამანათს რომ ვართმევდი იქაც, მხოლოდ ფეხბურთი იყო სალაპარაკო თემა და სიამაყე, რომელიც ახლაღა შევნიშნე, ფიზიკურადაც რომ შემეძლო მეგრძნო,სასიამოვნოდ ასდევდა სასუნთქ გზებს შუბლამდე და უკან, ფილტვებისკენ განაგრძობდა სვლას. ყველამ იცოდა საქართველო. ხან ინგლისის დროშას ადარებდნენ, ხანაც კათოლიკური ეკლესიის ხუთ ჯვრიანს. ნელ-ნელა იმასაც მიხვდნენ, არცერთი იმპერიის ნაწილი რომ არ ვიყავით და შიგადაშიგ, სხვა ქართველი სპორტსმენების გვარებსაც გააჟღერებდნენ ხოლმე. მე კი განსხვაულებული სიამაყითა და თვალებზე მომდგარი ცრემლის გუბეებით, ღიმილად ვიღვრებოდი. იმ ღამით კარის ხმა გაისმა თუ არა, მაშინვე ფანჯარასთან ავიტუზე. - რომანიო, ჩვენებმა მოუგეს პორტუგალიას – ათრთოლებული ხმით გავძახე ეზოს ბოლოში. -რონალდუც თამაშობდა კი მაგრამ? -აბა როგორ. -„ბრავო, დავვერო ბრავო." აღფრთოვანებულია ისიც და ოსკარს კისერს ფხანს. ოსკარი დათვს ჰგავს, თორემ ისე უზარმაზარი ძაღლია. შემდეგ იყო არაერთი შეტყობინება და აღფრთოვანებული ტექსტები. „სიეტე ბრავი, ლა ჯორჯია ე გრანდე"... რაც ქართულად ნიშნავს: თქვენ კარგები ხართ, საქართველო დიდებულია. მოგვიანებით , „ბამბინ ჯესუს" კლინიკაში, რომაული სიცხისგან შეწუხებული ფიზიოთერაპევტი მეკითხება, ჩვენს ქვეყანაშიც ასეთი გაუსაძლისი თუა ზაფხული.

– საქართველოდან ხართ? ღმერთო ჩემო. იტალიის შემდეგ ჩემი ფავორიტი ნაკრები იყავით. მე სიხარულის ნაპერწკლები მცვივა თვალებიდან. ...ქვეყანა, სადაც დილა ბარებში ფინჯანი ყავით და ფეხბურთით იწყება, სადაც მაღალ მაგიდებთან ატუზული იტალიელები დგანან და ჩემს ქვეყანაზე მასლაათობენ, სასაცილოდ რომ გამოთქვამენ ჩვენებურ გვარებს და აღფრთოვანებულნი რუკაზე ეძებენ, სად არის ჯორჯია... იმ ქვეყანაში მე უკვე ბევრჯერ მითხრეს, როგორი მებრძოლი ერი ვართ. დიახ, ორ ზღვას შუა... ძლიერი, მებრძოლი, ნიჭიერი ადამიანების სამშობლოა, რამდენჯერ გასულან მსოფლიო ასპარეზზე ჩვენებური გოგო-ბიჭები და ამ ერთი მუჭა ერის ხმა მთელ დედამიწას მისწვდენია. ...და ყველამ ხომ ვიცით, კვლავაც გაჟღერდება!

***ანანო ქვლივიძე,***
***იტალია ქ. რომი.***

# სპორტი

## ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

## ოქრო და თასი ზესტაფონის რესპუბლიკური ტურნირიდან



**ზესტაფონში** უკვე მესამედ ჩატარდა აქაური ფალავნის **ზაზა ედიბერიძის** ხსოვნის რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 2010-2011 წლებში დაბადებულ ამ სტილის მოჭიდავეებში. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებისა და მუნიციპალიტეტის მოჭიდავეებთან ერთად, ამ დიდ ასპარეზობაში მონაწილეობდა ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სექციის (***მწვრთნელი* თამაზ ყიფიანი**) მოჭიდავე **დავით მაისურაძე**, რომელიც, რა თქმა უნდა, თამაზ ყიფიანმა მისი შესაძლებლობის მიხედვით შეარჩია და საუკეთესოდაც! ჩვენებურმა მოჭიდავემ,როგორც იტყვიან, მწვრთნელის იმედები 100%-ით გაამართლა და ჩემპიონის ტიტულთან ერთად ტურნირზე დაწესებული ***ზაზა ედიბერიძის სახელობის პრიზიც დაისაკუთრა.*** სხვათა შორის ამ ტურნირში დავითი 62კგ წონით კატეგორიაში მონაწილეობდა,იმ წონაში, რაშიც ცხონებული ედიბერიძე. ამიტომ ზესტაფონელებისათვის მეტად საპატიო იყო, რომ ეს თასი ზესტაფონში დარჩენილიყო, მაგრამ დათომ იგი არც მათ და არც სხვებს დაანება და ჩვენი გაერთიანების უამრავ ჯილდოს ეს თასიც შეემატა. ამ მიზნის მისაღწევად დავით მაისურაძეს ოთხი ორთაბრძოლის მოგება დასჭირდა. მათ შორის საინტერესო გამოდგა ფინალში მისი შეხვედრა ადგილობრივ მოჭიდავე ოთო გვარჯალაძესთან, რომელსაც უამრავი ზესტაფონელი გულშემატკივარი, მათ შორის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიც და საკრებულოს თავმჯდომარეც უწევდნენ ქომაგობას. საბოლოოდ მათი შეხვედრა ფრედ 2:2 დასრულდა, მაგრამ იმის გამო, რომ გვარჯალაძეს ერთი გაფრთხილება და თითო მომგებიანი ქულა ჰქონდა, ჩვენებურმა ფალავანმა კი ორქულიანი ილეთი ჩაუტარა, გამარჯვება და ედიბერიძის სახელობის პრიზი დავით მაისურაძეს მიეკუთვნა.

ვულოცავთ ჩვენს დამწყებ „კლასიკოსს“ ამ გამარჯვებას და როგორც ამბობენ ხოლმე – ეს ერთი და სხვა კიდევ მრავალი წარმატებებით გაეხარებინოს თავისი მწვრთნელი და საგარეჯოელი გულშემატკივრები.

*გივი დაბახიშვილი*

---

## ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

## ურეკში – ფესტივალზე




**28-29-30 ივნისს** ქ. ოზურგეთში ჩატარდა ბადრი პატარკაციშვილის სპორტულ-სანახაობითი ფესტივალი „ურეკის გაზაფხული“, რომელიც მიზნად ისახავდა ბერძნულ-რომაული ჭიდაობის შემდგომ განვითარება-პოპულარიზაციას და პერსპექტიულ სპორტსმენთა შერჩევას. ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ 2012-2013 წლებში დაბადებული ჭაბუკები.მათ შორის აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სექციის (მწვრთნელი თამაზ ყიფიანი) აღსაზრდელი **იოანე მირზაშვილი.** მან ფესტივალზე მესამე ადგილი დაიკავა.

---

## ქართული ჭიდაობა

## სანდრო სონიშვილმა კვლავ ასახელა საგარეჯო



**29 ივნისს** ახმეტაში ჩატარდა საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში (2004-2006), რომელიც კახელი ფალავანის ზაქარია ბაკურაძის 100 წლისთავის იუბილეს მიეძღვნა.

ტურნირი ჩატარდა ქართული ჭიდაობის ფედერაციისა და ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფინანსური მხარდაჭერით, სადაც წარმატებით იასპარეზა **სანდრო სონიშვილმა** (+100კგ)

---

## მხატვრული ტანვარჯიში

## საგარეჯოელმა გოგონებმა თავი ისახელეს

**29-30 ივნისს** ჩატარდა მხატვრულ ტანვარჯიშში საერთაშორისო ტურნირი "ნელი სალაძის თასი 2024", სადაც წარმატებული გამოსვლა ჰქონდათ ჩვენს გოგონებს. აი,ისინიც: ქეთევან კურდღელაშვილი; ნანიტა გრატიაშვილი; დალი კურდღელაშვილი; მარიამ წიკლაური; თამუნა ბეჟიაშვილი; ლიზი მეკოკიშვილი.





---

## პატარძეულში სპორტულ მოედანს ახალგაზრდულ ასაკში გარდაცვლილი წარმატებული ფეხბურთელის გიორგი ოდიკაძის სახელი მიენიჭა



**პატარძეულმა** ისტორიული და სიმბოლური მნიშვნელობის, საზეიმო და ამავდროულად, ცრემლიან ღონისძიებას უმასპინძლა -- სპორტულ მოედანს, რომელიც ექსპლუატაციაში 2022 წელს შევიდა, ოფიციალურად მიენიჭა ამავე სოფლის ღირსეული შვილის, ნიჭიერი ფეხბურთელის, გიორგი ოდიკაძის სახელი. სწორედ 2022 წელსვე, რამდენიმეთვიანი ავადმყოფობის შემდეგ, გიორგი მარადიული სამყაროს მკვიდრი გახდა.....

ოჯახის წევრების, ახლობლების, მრავალრიცხოვანი მეგობრების, თანაგუნდელების და თანასოფლელების გულებში კი უსაზღვრო სითბო და სიყვარული დატოვა...

აღსანიშნავია,რომ ხსენებული სპორტული მოედნისთვის გიორგი ოდიკაძის სახელის მინიჭების იდეა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს პატარძეულში, გიორგი ჭინჭარაძეს შარშან დაებადა.

იდეა სულ პირველად მის თანამოაზრეებს - სპეციალურად სოფლის საჭიროებებისთვის შექმნილი საინიციატივო ჯგუფის წევრებს გაგვიმხილა. რა თქმა უნდა, ძალიან მოგვეწონა და გამოვთქვით მზადყოფნა,ჩვენი წვლილი შეგვეტანა მის განხორციელებაში.

კანონის შესაბამისად, მოსახლეობის სახელით მომზადდა წერილი საგარეჯოს მერის, ავთანდილ გულიკაშვილისთვის გადასაცემად. ჩვენი ჯგუფის აქტიურმა წევრმა, თსუ-ს პედაგოგმა თეონა ლაფერიშვილმა მოსახლეობის ხელმოწერების შეგროვება ითავა. როგორც სხვა საზოგადოებრივი ინიციატივების შემთხვევაში, პატარძეულის მოსახლეობა საოცრად ერთსულოვანი აღმოჩნდა. მით უფრო, რომ გიორგი ოდიკაძე, სპორტული მიღწევებისა და ტიტულების პარალელურად, თავისი პოზიტიურობით, ზრდილობით, კეთილშობილებით, ძალიან კარგი ავტორიტეტით გახლდათ ცნობილი.....

ასე რომ, ამ საშვილიშვილო მნიშვნელობის იდეის განხორციელებასთან დაკავშირებით, პატარძეულმა გასულ წელს თავისი სიტყვა თქვა და საქმეც მიაყოლა. ახლა ჯერი ადგილობრივ თვითმმართველობაზე მიდგა. საკრებულომ მიიღო მოედნისთვის **გიორგი ოდიკაძის** სახელის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება. მერიის დაკვეთით დამზადდა და მოედანთან განთავსდა შესაბამისი მემორიალური დაფა.

არ შეიძლება, მოცემულ კონტექსტში შემდეგი საკითხი არ აღინიშნოს: ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია დიდ ყურადღებას უთმობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების,ახალგაზრდებს შორის სპორტის განვითარების ხელშეწყობას.*** ხსენებული სპორტული მოედნის პროექტის განხორციელებაში დიდი წვლილი შეიტანა ***მერის მოადგილემ,* გიორგი ლალიაშვილმა,** რომელსაც უზომოდ უყვარს მშობლიური სოფელი პატარძეული და ძალას არ იშურებს მისი კეთილდღეობისთვის.




მერიამ არა მხოლოდ გააკეთა მოედანი, არამედ ზრუნავს იმაზეც, რომ დროულად შეკეთდეს, თუ რაიმე დაზიანდება.

7 ივლისს ფერადი საჰაერო ბურთებით გაფორმებულ მემორიალურ დაფასთან თავი მოიყარეს გიორგი ოდიკაძის ოჯახის წევრებმა, ახლობლებმა, მეგობრებმა და ყოფილმა თანაგუნდელებმა, გიორგი ლალიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გილაშვილმა, გიორგი ჭინჭარაძემ, საკრებულოს წევრმა გიორგი თათრიშვილმა. განსაკუთრებით მეგობრებისთვის ძნელი აღმოჩნდა დღის მთავარი გმირის გახსენება ცრემლების გარეშე....

სიმბოლური და საოცრად ემოციური იყო ის მომენტი, როდესაც შვილის თანაგუნდელებს ნოდარ ოდიკაძემ სთხოვა, რამდენიმე წუთს მაინც ეთამაშათ ფეხბურთი....

პატარძეული რომ განსაკუთრებული სიმბოლოებით ცნობილი სოფელია, არახალი ამბავია. მას კიდევ ერთი საგულისხმო სიმბოლო შეემატა: ცნობილი მოჭიდავის, გივი ონაშვილის სახელობის საჭიდაო დარბაზის გვერდით ფუნქციონირებას განაგრძობს გიორგი ოდიკაძის სახელობის სპორტული მოედანი.

ობიექტურ, გადაუდებელ მიზეზთა გამო, დღეს ვერ მოვახერხე მშობლიურ სოფელში ჩასვლა და ღონისძიებაზე დასწრება. ჩემმა ძმიშვილმა, ნინომ არ დაიზარა, მივიდა და სპეციალურად ჩემთვის გადაიღო ფოტოები. ნინოც და მისი თანატოლებიც კიდევ ერთხელ გახდნენ იმის მოწმენი, თუ საგარეჯოს რაიონში და მათ შორის, სოფელ პატარძეულში როგორ აფასებენ ღირსეულ და გამორჩეულ ადამიანებს.

სწორედ ასეთი მაგალითები აყალიბებს მოზარდებს კარგ პიროვნებებად და ქართველებად!

*სანდრო უსტიაშვილი*

---

**გაზეთ** „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ა(ა)იპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორს ნაილი ალექსაშვილს მამის

**თადიკო ალექსაშვილის**

გარდაცვალების გამო.

# ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

## ქალაქ საგარეჯოს IV საბავშვო ბაღი



*ქალაქ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №4-ის მენეჯერი* **ლილი ლოლაძე** *დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია. ქ-ნმა ლილიმ დიდი ჩაილურის სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის ყოფილი ალ. პუშკინის (დღევანდელი სულხან-საბა ორბელიანის) სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო,რომლის დამთავრების შემდეგ, ასევე,დაამთავრა ამავე ინსტიტუტის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი სამართლებრივი აღზრდის მეთოდისტის სპეციალობით.*

*რაც შეეხება სპეციალობით მუშაობას,პირველად სოფელ შიბლიანის საბავშვო ბაღის კარები შეხსნა აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსით, შემდეგ კი მუშაობა ქ. საგარეჯოს მეორე საბავშვო ბაღში ჯერ აღმზრდელ-პედაგოგად დაიწყო, შემდეგ კი – 1984 წლიდან აღნიშნული საბავშვო ბაღის მენეჯერია.*



– ქ. საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №4 თავდაპირველად ქალაქ საგარეჯოს №2 საბავშვო ბაღის ნუმერაციით იყო, რომელიც 1966 წლის დეკემბერში გაიხსნა „სამგორ-წყალმშენის" დასახლებაში (ე.წ. „პასიოლკა"). მისი პირველი გამგე ქ-ნი ნელი ნავასარდოვა იყო. აღნიშნულ საბავშვო ბაღში ორი სექტორი ფუნქციონირებდა – ქართული და რუსული, – ***გვეუბნება ქ-ნი ლილი,*** – ქართული სექტორი ჯგუფის აღმზრდელები იყვნენ ქალბატონები ციცინო ქარსაულიძე (რომელიც დღეს ქალაქ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №1-ის პედაგოგია) და ეთერ ოთარაშვილი, ხოლო რუსულ სექტორში აღმზრდელად ქ-ნი ლუდმილა კარიაკინა მუშაობდა, მუსიკის მასწავლებლად – ქიშვარდ ანუაშვილი.





1967 წლიდან საბავშვო ბაღის გამგე იზოლდა კოხტაშვილი იყო. ქართულ სექტორში 40-ზე მეტი ბავშვი ირიცხებოდა.

1973 წლიდან აღნიშნულმა საბავშვო ბაღმა ბინადრობა იმ შენობაში განაგრძო, რომელიც 1912 წელს აშენდა და ექსპლოატაციაში გადაეცა ამიერკავკასიის რკინიგზის საგარეჯოს სადგურის ადმინისტრაციას. შენობა მართალია, მოძველებული იყო, მაგრამ... ყველა პირობას უნდა შეგუებოდა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი და აღსაზრდელთათვის კომფორტული პირობების შექმნას ცდილობდნენ, თუმცა შენობა სერიოზულ რესტავრაციას მოითხოვდა. აქ 1974 წლიდან საბავშვო ბაღის მენეჯერი ელისო ჩერქეზიშვილია, ხოლო აღმზრდელ-პედაგოგებად ციცინო ზუკაკიშვილი და ეთერ ჯაშიაშვილი. 1984 წლიდან კი საბავშვო ბაღის ხელმძღვანელობა მე მომანდეს.

როგორც მოგახსენეთ, შენობა არატიპიური იყო, პერსონალი ძალ-ღონეს არ ზოგავდა მის მოვლა-მოსაწესრიგებლად. მაგრამ განსაკუთრებით რთული იყო გასული საუკუნის 90-იანი წლები. თუმცა აღმზრდელ-პედაგოგების – ელისო ჩერქეზიშვილისა და ეთერ მეკოკიშვილის, პერსონალის დიდი მონდომებით, რომ იტყვიან მშობლებისა და თანამშრომელთა ერთსულოვნებით, ერთმანეთის გვერდში დგომით, აღსაზრდელთა სიყვარულით შევძელით მოგვეწესრიგებინა ეზო-გარემო, შეძლებისდაგვარად შევინარჩუნეთ ინფრასტრუქტურა და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, აღნიშნულ შენობაში საბავშვო ბაღი 42 წელი ფუნქციონირებდა.

მხოლოდ 2015 წლის სექტემბრიდან დაიდო ბინა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამ სრულიად განსხვავებულ პირობებში, სადაც, რომ იტყვიან, მართლაც რადიკალურად განსხვავებული პირობები და ინფრასტრუქტურა დაგვხვდა – ეტაპობრივად შეიცვალა დგამ-ავეჯი. ახალი სტანდარტების გათვლისწინებით შეგვიძინეს საბავშვო სკამები, მაგიდები. მოწესრიგდა აღსაზრდელთა ძილის რეჟიმი და საძინებელი მომარაგდა საჭირო ავეჯით.. დღეს ჩვენი დაწესებულება ყველა იმ გამოწვევას პასუხობს, რაც 21-ე საუკუნის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს მოეთხოვებათ, ვხელმძღვანელობთ ახალი მეთოდური სახელმძღვანელო კურიკულიუმით – სწავლება-თამაშით და მოიცავს 2-5 წლამდე ასაკის ბავშვების ადრეული განვითარებისა და სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სტანდარტს, რაც გვავალდებულებს პირველ რიგში აღსაზრდელზე მორგებულ უსაფრთხო გარემო-პირობების შექმნას და ჰუმანური ჰარმონიული, ჯანსაღი დამოკიდებულებით მათი სოციალურ-ემოციური უნარების მქონე პიროვნებებად ჩამოყალიბებას – ჩვენი აღზრდილი იქნება ბედნიერი, თავდაჯერებული და თავისუფალი, რომელიც ადვილად და წარმატებით შეძლებს თავის დამკვიდრებას სოციუმში, ამ მიზნის მიღწევაში განსაკუთრებულ მზრუნველობას და მხარდაჭერას ვგრძნობთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის, უპირველესად მუნიციპალიტეტის მერის ბ-ნ **ავთანდილ გულიკაშვილის** და ა9ა)იპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" დირექტორის ქ-ნი **ნაილი ალექსაშვილის** მხრიდან. მათი უშუალო დახმარებით ჩვენ ყოველთვის გვაქვს ახალი მეთოდური ლიტერატურა, სისტემატურად გავდივართ შესაბამის ტრენინგებს.

2023-2024 სასწავლო წელს დაწესებულებაში ფუნქციონირებდა ორი სააღმზრდელო ჯგუფი: 2-3 წლიანთა და 5-6 წლიანთა. სკოლისკენ გზა 16 აღსაზრდელს დავულოცეთ. მთელი სასწავლო წლის პერიოდში ჩვენი დაწესებულების თანამშრომლები გუნდური მუშაობით, მეგობრული დამოკიდებულებით ვცდილობდით ყოველი სააღმზრდელო დღე პატარებისთვის გვეჩუქებინა ისე, რომ მეორე დღეს დაწესებულების შენობის კარები ხალისითა და სიხარულით შემოეხსნათ. დიახ, მათ ყოველდღიურ სასიამოვნო გარემოზე ზრუნავდნენ აღმზრდელები: **ქეთევან კოჭლამაზაშვილი და ნონა ნუკრაძე**, აღმზრდელის თანაშემწეები: **ნინო ოთარაშვილი** და **ნინო ჭიაბერაშვილი,** ფსიქოლოგი **თეა ბრატიაშვილი,** მედდა **ნანა ნუკრაძე,** , მზარეული **ლალი ბარამაშვილი**, სოცმუშაკები – **ნინო თათრიშვილი** და **ხათუნა ჩითელაური,** დამლაგებლები.

რაც შეეხება ახალი სასწავლო წლისათვის სამზადისს, სექტემბერში ჩვენი დაწესებულება განახლებული ეზოს ინფრასტრუქტურით შეხვდება აღსაზრდელებს – მოწესრიგდება ეზო და შეიცვლება ეზოს სათამაშოები, რაც აგრერიგად იზიდავს ჩვენს პატარებს.

მანამდე კი ზაფხულის არდადეგების შინაარსიანად და საინტერესოდ გატარებას ვუსურვებ ჩვენს აღსაზრდელებს და ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ყველა დაწესებულების აღსაზრდელს!

## ზაფხულის საბავშვო ბაღი



**ა(ა)იპ** „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" (დირექტორი **ნაილი ალექსაშვილი**) დაწესებულებებმა აღზრდილებს სკოლისკენ გზა დაულოცეს და საზაფხულო არდადეგებზე გაისტუმრეს აღსაზრდელები. ქ. საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №1-მა კი მუშაობა არ შეწყვიტა – აქ კვლავ ისმის ბავშვების ჟრიამული – საზაფხულო ბაღი 1 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით იფუნქციონირებს. მენეჯერის მოვალეობას **მაია ილაური** ასრულებს.



ყოველდღიურად აქ აღმზრდელ-პედაგოგებთან **თეო მაჭარაშვილთან, ია ყორღანაშვილთან, თინა მამისაშვილთან** აღმზრდელის თანაშემწეებთან **ვენერა საგინაშვილთან, თინიკო გაგნიაშვილთან, ეთერ როჭიკაშვილთან** სიხარულით და მხიარული დღის მოლოდინით მოიჩქარის 87 აღსაზრდელი. აქედან, 21 აღსაზრდელი ქალაქის სხვადასხვა საბავშვო ბაღებიდანაა შემომატებული. აღსაზრდელთა სამ ჯგუფს ყოველდღიურ დღის რეჟიმს მუსიკის პედაგოგი **ნატო კუთხაშვილი** ულამაზებს, მათ ჯანმრთელობას ექთანი **ლალი მარიხაშვილი, მზარეული ნატო მარიხაშვილი,** მისი თანაშემწეები **სოფო ქართველიშვილი** და **ემა კვარაცხელია** ყველანაირად ცდილობენ დღის განმავლობაში აღსაზრდელებს გემრიელი საჭმელები მოუმზადონ. მათ დღის რეჟიმის მიხედვით სამჯერადი კვება და ერთი წახემსება აქვთ.











მთელი დღის განმავლობაში საბავშვო ბაღის თანამშრომლები და მათ შორის პერსონალური დამხმარე **ბიული ოთიაშვილი** ენერგიას და შესაძლებლობებს არ იშურებენ – აღსაზრდელებს ზაფხულის ცხელ დღეებთან შესაფერისი პირობები შეუქმნან გართობისა და დასვენებისათვის.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს" გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე"
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში" სარეგისტრაციო ნომერი 23184601;
საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე"-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს"-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com